აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

ბატონ თორნიკე რიჟვაძეს,

ასლი:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს,

აზიის განვითარების ბანკს,

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის

სოფელი მახალაკიძეების, რაბათის უბნის მცხოვრებთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგეხსენებათ, რომ 2014 წლის ივლისში დაიწყო შუახევი ჰესის საპროექტო სადერივაციო გვირაბის მშენებლობა ჩვენს უბანში, რომელიც აღმოჩნდა პრობლემური და გამოიწვია შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედება ჩვენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

თავდაპირველად, მშენებლობის დაწყებამდე, გაიმართა წინასწარი ზეპირი მოსმენები, სადაც მოსახლეობას გვაცნობეს, რომ ამ გვირაბის მშენებლობა არავითარ ზიანს არ მოუტანდა ჩვენს უბანს, რადგან სულ სხვა მიმართულებით უნდა გასულიყო. მოგვიანებით, მშენებლობის პროცესში აღმოჩნდა, რომ კომპანიას 2200 მეტრის სიგრძის გვირაბი უშუალოდ გაჰყავდა ჩვენი დასახლების გასწვრივ და მშენებლობისას იყენებდა ბურღვა-აფეთქების მეთოდს. შედეგად, ჩვენს უბანში გაქრა წყაროები, რასაც ვიყენებდით როგორც სასმელად, ისე სარწყავად. ეზოებში ცვიოდა დიდი ზომის ლოდები, გააქტიურდა მეწყრული პროცესები, ბზარები გაუჩნდა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და აქ ცხოვრება გახდა გაუსაძლისი.

იმის გამო რომ არც კომპანიამ, არც პროექტის დამფინანსებელმა საერთაშორისო ბანკებმა და არც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩვენი პრობლემები ვერ მოაგვარა, იძულებულნი გავხდით მოგვეწყო პერმანენტული აქციები და გვეჩივლა კომპანიისთვისაც საერთაშორისო ბანკებში. ჩვენდა გასაკვირად, მიუხედავად ჩვენი მცდელობებისა, ვერც ბანკებმა მოგვიგვარეს პრობლემები.

მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველთვიურად, რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები კომპანიასთან, ბანკებთან და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, იყო ჩვენი უბნიდან მოსახლეობის გაყვანის ზეპირი დაპირებებიც, თუმცა დღემდე არაფერი შეცვლილა.

არსებობს უამრავი გეოლოგიური დასკვნა ჩვენი უბნის თაობაზე, რომ ვართ მეწყერსაშიშ და ღვარცოფულ ზონაში, თუმცა კომპანია კვლავ უარს ამბობს ჩვენს დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვითხოვთ:

1. შეიქმნას კომპეტენტური მიუკერძოებელი საერთაშორისო კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ჩვენს მდგომარეობას და დადებს ობიექტურ დასკვნებს ჩვენი მოთხოვნების სამართლიანობასთან დაკავშირებით;

2. ამ დასკვნის საფუძველზე, ან მოგვეცეს უსაფრთხოების გარანტიები, ანაც დაუყოვნებლივ მოხდეს ჩვენი გაყვანა 2014 წლის მაისში კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე;
3. დადგინდეს, გამოიწვია თუ არა კომპანიის სამშენებლო სამუშაოებმა ის ზიანი, რომელიც მოგვადგა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგვინაზღაურდეს.

აქვე მოგმართავთ თხოვნით, მოაწყოთ შეხვედრა გეოლოგებთან, კომპანიის და ბანკების წარმომადგენლებთან შუახევი ჰესის თაობაზე, სადაც მოგვეცემა საშუალება უფრო დეტალურად აგიხსნათ ჩვენი პრობლემები.

პატივისცემით,

შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელი მახალაკიძეების, რაბათის უბნის მაცხოვრებლები:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]
12. [illegible]
13. [illegible]